საქართველო

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

29399-01-2-201807120902

N 01/29399
12/07/2018

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური
დაცვის მინისტრის მოადგილეს ქალბატონ **თამილა ბარკალაიას**

ქალბატონო თამილა,

შვეიცარიის კონფედერაციაში საქართველოს საელჩოდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, გაცნობებთ, რომ 2018 წლის 5 ივლისს შეხვედრა გაიმართა შვეიცარიის იუსტიციისა და შინაგან საქმეთა დეპარტამენტის (EJPD) მიგრაციის სახელმწიფო სამდივნოს (SEM) სახელმწიფო მდივანთან (ხელმძღვანელთან) მარიო გატიკერთან, ამ უკანასკნელის ინიციატივით.

შეხვედრაზე შვეიცარიის მხარემ ყურადღება გაამახვილა ამ ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში შვეიცარიაში საქართველოდან თავშესაფრის მაძიებელთა მნიშვნელოვნად გაზრდილ რაოდენობაზე და ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის შესაძლო ერთობლივი ძალისხმევის განხილვაზე.

შვეიცარიის მხარის ინფორმაციით, ზემოაღნიშნული მაჩვენებლით საქართველო, სხვა მსგავსი ნიშნით გამორჩეული ქვეყნების სიაში, მეოთხე ადგილზეა (ავღანეთის, სერბეთის და ერითრეას შემდეგ), რაც სავსებით შესაძლებელია შვეიცარიის აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის უფრო ფართო საგნობრივი მსჯელობის საბაბი გახდეს, საქართველოს მოქალაქეთათვის შვეიცარიაში თავისუფალი გადაადგილების უფლების შენარჩუნების თვალსაზრისით, რომელიც, როგორც ცნობილია, შენგენის ზონის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შედეგად აქვთ მინიჭებული.

თავშესაფრის მაძიებელი მოქალაქეების დახასიათებისას, შვეიცარიის მხარემ სამი ძირითადი რისკის ჯგუფი დაასახელა: 1. მძიმე დაავადების მქონე ადამიანები, რომლებიც ფაქტიურად ავადმყოფობის ბოლო სტადიაზე იმყოფებიან (განსაკუთრებით კიბოს და მსგავსი დაავადებები); 2. მძიმე ალკოჰოლური და/ან ნარკოტიკული დამოკიდებულების ქვეშ მყოფი ადამიანები; 3. ორგანიზებული (ადგილობრივი და/ან საერთაშორისო) კრიმინალური საქმიანობით დაკავებული ადამიანები.

შეხვედრის ფარგლებში შვეიცარიის მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოში არსებული უსაფრთხოების დონის, სტაბილურობის ხარისხისა და მიმდინარე დემოკრატიული გარდაქმნების წარმატებული შედეგებიდან გამომდინარე, მათთვის ცნობილია, რომ თავშესაფრის მოსათხოვად, საქართველოს მოქალაქეებს არავითარი რეალური პოლიტიკური საფუძველი არ გააჩნიათ, თუმცა თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვის ზრდა, ცხადია, მათი ზრუნვისა და წუხილის საგანს წარმოადგენს.

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00
ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge

შვეიცარიის მხარემ სრული მზადყოფნა გამოხატა ზემოაღნიშნული საკითხის დასარეგულირებლად თანამშრომლობისა და გადაწყვეტის ერთობლივი გზების გამონახვის კუთხით.

ქართულმა მხარემ შვეიცარიელ პარტნიორებს მიაწოდა განხილული საკითხის მოსაგვარებლად საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებების თაობაზე ინფორმაცია (მათ შორის საქართველოში არსებული ჯანდაცვის პროგრამების თაობაზე, თქვენი უწყებიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით), ასევე გაუზიარა ის უკვე კონკრეტული შედეგების მომტანი გამოცდილება, რაც დაგროვდა მსგავსი პრობლემის დარეგულირებისას შენგენის ზონის სხვა პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობით. შვეიცარიის მხარეს ქართულმა მხარემ შესთავაზა ორმხრივ ფორმატში ანალოგიური ქმედებების გატარება *(მაგ.: მსს-სა და SEM-ს შორის, ასევე სხვა რელევანტურ სტრუქტურებს შორის პრაქტიკული თანამშრომლობის გააქტიურება, საელჩოში მსს-ის ატაშეს დანიშვნის საკითხის განხილვა, შესაბამისი სტრუქტურების ხელმძღვანელთა მაღალი დონის ვიზიტების ურთიერთგაცვლა, საელჩოსა და SEM-ს შორის რეგულარული კომუნიკაცია),* რაც სავარაუდოდ უფრო ეფექტურს და ოპერატიულს გახდიდა ამ საკითხის სასურველი შედეგით გადაწყვეტას. შვეიცარიის მხარემ ინტერესითა და პოზიტიური განწყობით მოისმინა ქართული მხარის შეთავაზებები და აღუთქვა მათზე გამოხმაურება.

აქვე, შვეიცარიის მხარის მიერ ხაზგასმით აღინიშნა, რომ მიმდინარე ეტაპზე არ სურს ამ პრობლემური საკითხის ქვეყნის საჯარო სივრცეში გატანა, არც ფედერალური მთავრობის დონეზე განსახილველად წარდგენა და უპირატესობას ქართველ კოლეგებთან მიმდინარე საქმიან დიალოგს ანიჭებენ, რათა საკითხის დარეგულირება პროფესიულ დონეზე, ყოველგვარი ზედმეტი აჟიოტაჟის გარეშე მოხერხდეს.

პატივისცემით,
ვახტანგ მახარობლიშვილი

მინისტრის მოადგილე